

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“

ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 30 ნოემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. ფუნქციონირებადი საწარმო	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	9
5. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები.....	15
6. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა.....	16
7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
8. ძირითადი საშუალებები	17
9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	18
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	18
11. ნასესხები სახსრები.....	18
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	18
13. გადავადებული შემოსავალი.....	18
14. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.....	19
15. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	19
16. დანახარჯების გადანაწილება	19
17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19
18. პირობითი ვალდებულებები	19
19. ფინანსური რისკის მართვა.....	20
20. სამართლიანი ღირებულებები.....	22
21. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“-ს პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწერილობით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2019 წლის მმართველობითი ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2019 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.



**Building a better
working world**

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენ მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.



**Building a better
working world**

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შემდეგს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 31 აგვისტო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“-ს პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA-კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2019 წლის მმართველობითი ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2019 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით

გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შვეისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის აუდიტის პროცესში გამოვლენილ შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


30 ნოემბრით დასრულებული წლისთვის


(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	10,740	8,468
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,740	8,468
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	3,448	3,624
წმინდა საგადასახადო აქტივები და სხვა ავანსები		609	150
სხვა დებიტორული დავალიანებები		121	80
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	1,266	1,516
სულ მიმდინარე აქტივები		5,444	5,370
სულ აქტივები		16,184	13,838
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3	3
დაგროვილი დანაკლისი		(1,887)	(1,880)
სულ კაპიტალი		(1,884)	(1,877)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	13	4,480	6,423
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,480	6,423
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	8,000	4,019
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	5,588	5,273
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,588	9,292
სულ ვალდებულებები		18,068	15,715
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		16,184	13,838

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2020 წლის 31 აგვისტოს, შემდეგი პირის მიერ:


 ალექსანდრა ფილიპოვი
 დირექტორი




 კლავდია კიშვალდი
 დირექტორი

8-22 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

30 ნოემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	10,740	8,468
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,740	8,468
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	3,448	3,624
წმინდა საგადასახადო აქტივები და სხვა ავანსები		609	150
სხვა დებიტორული დავალიანებები		121	80
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	1,266	1,516
სულ მიმდინარე აქტივები		5,444	5,370
სულ აქტივები		16,184	13,838
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3	3
დაგროვილი დანაკლისი		(1,887)	(1,880)
სულ კაპიტალი		(1,884)	(1,877)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	13	4,480	6,423
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,480	6,423
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	8,000	4,019
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	5,588	5,273
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,588	9,292
სულ ვალდებულებები		18,068	15,715
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		16,184	13,838

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2020 წლის 31 აგვისტოს, შემდეგი პირის მიერ:

ალექსანდრა ფილიპოვი
დირექტორი

კლაუდია ოსზვალდი
დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

30 ნოემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
შემოსავალი	14	35,156	29,971
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	15	(19,127)	(14,093)
საერთო მოგება		16,029	15,878
სხვა საოპერაციო შემოსავალი		26	143
დისტრიბუციის ხარჯები	16	(1,725)	(1,293)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(13,880)	(13,187)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)		14	(91)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		464	1,450
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10	244	174
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	(715)	(273)
(ზარალი)/შემოსავალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(7)	1,351
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წმინდა (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(7)	1,351
სხვა სრული შემოსავალი		–	–
მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(7)	1,351

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**30 ნოემბრით დასრულებული წლისთვის***(ათას ლარში)*

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დანაკლისი	სულ
ნაშთი 2017 წლის 30 ნოემბერს	3	(3,231)	(3,228)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	1,351	1,351
ნაშთი 2018 წლის 30 ნოემბერს	3	(1,880)	(1,877)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(7)	(7)
ნაშთი 2019 წლის 30 ნოემბერს	3	(1,887)	(1,884)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება**2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული წლისთვის**

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(7)	1,351
<i>არაფულადი კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:</i>			
ცვთის დანარიცხი	8	1,297	1,124
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	715	273
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10	(244)	(174)
		1,761	2,574
<i>საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები</i>			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		176	(2,331)
ცვლილება სხვა დებიტორულ დავალიანებაში		(41)	824
ცვლილება წმინდა საგადასახადო აქტივებსა და სხვა ავანსებში		(459)	(150)
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში		(1,943)	(835)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		315	(3,016)
		(191)	(5,508)
გადახდილი პროცენტი		(734)	(289)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(925)	(3,223)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(3,569)	(3,027)
მიღებული პროცენტი		244	174
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,325)	(2,853)
ფინანსური საქმიანობა			
ამონაგები სესხებიდან		4,000	4,000
სესხების დაფარვა		-	(793)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		4,000	3,207
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		(250)	(2,869)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	10	1,516	4,385
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	10	1,266	1,516

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“ (შემდგომში „კომპანია“) 2016 წლის 30 აგვისტოს დაფუძნდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405164192). კომპანია საქართველოში მდებარეობს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #41, მე-4 სართული.

კომპანია შვედური ტანსაცმლის მრავალნაციონალური სავაჭრო ბრენდის „H&M Hennes & Mauritz AB“-ის (publ) წევრია, რომელიც ცნობილია „სწრაფი მოდის“ სამოსით მამაკაცების, ქალების, თინეიჯერებისა და ბავშვებისთვის. 2019 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით კომპანია საქართველოში, კერძოდ თბილისში სამ მაღაზიას ფლობს (2018 წელს ორი მაღაზია).

2019 წლისა და 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია იყო „H&M Hennes & Mauritz GBC AB“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), რომელიც „H&M Hennes & Mauritz AB“-ს 100%-იანი შვილობილი კომპანიაა. „Ramsbury Invest AB“-ის ფლობის წილი „H&M Hennes & Mauritz AB“-ში მთლიანი აქციების 45,7%-ია, და მთლიანი ხმის უფლებების 73,6%. ამგვარად „Ramsbury Invest AB“ (556423-5769) ფორმალურად „H&M Hennes & Mauritz AB“-ის მშობელი კომპანიაა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორის მიერ. პარტნიორს აქვს სამართლებრივი უფლება შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება მისი გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ცვლილებები სააღრიცხვო პრინციპებსა და ფინანსური ანგარიშგების გამოცემასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპები და დაანგარიშების მეთოდები იგივეა, რაც 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული და მე-4 შენიშვნაში აღწერილი პრინციპები და მეთოდები, რომლებიც განსხვავდება ფასს (IFRS) 9 („ფინანსური ინსტრუმენტები“) და ფასს (IFRS) 15-ისგან („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“), რომლებიც 2018 წლის 1 დეკემბრიდან გამოიყენებოდა. მთლიანობაში, ფასს (IFRS) 9 და ფასს (IFRS) 15-ის დანერგვა არ მოითხოვდა მნიშვნელოვან ცვლილებებს კომპანიის ანგარიშგებაში და მას გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

2019 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 8,145 ლარით აჭარბებდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ქართული კომერციული ბანკისგან აღებული სესხით 8,000 ლარის ოდენობით, რომლის დაფარვის ვადა 2020 წლის თებერვალი იყო. 2020 წლის იანვარში კომპანიამ 2021 წლის თებერვლამდე გაახანგრძლივა დაფარვის თარიღი. ამასთან, 2020 წლის მაისში მშობელმა კომპანიამ კომპანიის საწესდებო კაპიტალი 10,000 ლარით გაზარდა და განახორციელა მისი სრული კონტრიბუცია, კომპანიის საოპერაციოს საქმიანობების მხარდასაჭერად.

3. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი და დაკმაყოფილდა იმით, რომ კომპანია ფლობს შესაბამის რესურსებს ბიზნესში დასარჩენად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ მოსაზრების გამოსახატავად, ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ეკონომიკური საქმიანობები და გეგმები და გაითვალისწინა საოპერაციო და საბაზრო ფაქტორები, მათ შორის კოვიდ-19-ის გავლენა, რისკები და შესაძლებლობები. 2019 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული, კონკრეტულად კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული ქმედებები 21-ე შენიშვნაშია განხილული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა**(ა) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად**

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარია.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით, შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ოპერაციების დაფარვიდან წარმოქმნილი საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობის/ზარალის სახით, წმინდა საფუძველზე.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კაპიტალის ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი არაფულად მუხლებზე, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აისახება სამართლიანი ღირებულების შემოსულობაში ან ზარალში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(გ) ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების ანარიცხი. ძირითადი საშუალებები მოიცავს დაუმთავრებელ აქტივებს მომავალში ძირითადი საშუალებების სახით სარგებლობისთვის.

შემდგომი დანახარჯები შესულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივის სახით, ვითარებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ერთეულთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და ერთეულის ღირებულება სათანადო სიზუსტით შეიძლება შეფასდეს. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწვევითანავე. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ქონების და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. რომელიმე შემთხვევაში ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც აქტივის გასაყიდი ღირებულებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შრის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შესაბამის ვითარებაში შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება ამონაგების საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით და აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	8
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	8
სხვა აღჭურვილობა და ხელსაწყოები	5-8

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)****(i) ფინანსური აქტივები***თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება*

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომლითაც მათ მართავს. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში „შემოსავლის აღიარება“ ქვემოთ.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს "მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს" დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე
- ▶ მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კომპანიისთვის ყველაზე აქტუალური კატეგორიაა.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)****(i) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება. კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება

(ii) ფინანსური ვალდებულებები**თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, კრედიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)****(ii) ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)**

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, მას აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს და სესხებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და გზაში მყოფ ფულად სახსრებს.

(ვ) გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს მეიჯარის მიერ კომპანიის მიერ იჯარით აღებული კომერციული ფართის რემონტისთვის განხორციელებულ ფულად შენატანებს. იმპ (SIC) 15-ის ინტერპრეტაციის (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) შესაბამისად ეს საიჯარო შეღავათები აღირიცხება, როგორც საიჯარო ხარჯის კლება საიჯარო ვადაზე, წრფივი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, რადგან ეს საფუძველი წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივის სარგებლობიდან მოიჯარეს მიერ მიღებული სარგებლის დროის შაბლონისთვის.

(ზ) საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია არის მოიჯარე იჯარაში, რომელშიც მოიჯარე კომპანიას არ გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მთლიანი საიჯარო გადასახდელები ირიცხება წლის მოგებაზე ან ზარალზე წრფივი დარიცხვის მეთოდით, საიჯარო ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა შეუქცევადი პერიოდია, რომლისთვისაც მოიჯარემ გააფორმა აქტივის იჯარის ხელშეკრულება, ნებისმიერ სხვა პირობასთან ერთად, რომლითაც მოიჯარეს აქვს აქტივის იჯარის გაგრძელების ვალდებულება, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის ამოწურვისას არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამგვარი ფუნქციით.

(თ) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(თ) მოგების გადასახადი (გაგრძელება)**

გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა საოპერაციო ხარჯებში მოგებაში ან ზარალში.

(ი) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში. გარკვეული დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა, რომელიც წარმოიშვა 2006 წლამდე, მხოლოდ მაშინ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას თუ მიიღება ან ჩამოიწერება შესაბამისი დებიტორული დავალიანება. ასეთი დამატებული ღირებულების გადასახადი აღირიცხება, როგორც გადავადებული დამატებული ღირებულების გადასახადი ნომინალური გადასახდელი ოდენობით.

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანების მიღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო უწყებები დღგ-ს გადახდას წმინდა საფუძველზე უშვებს, კონკრეტული შეზღუდვებით.

(კ) განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები

ხელმძღვანელობა კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო პოზიციებს თითოეული ანგარიშსწორების პერიოდის ბოლოს გადააფასებს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ, სავარაუდოდ, ისინი არ გამოიწვევენ დამატებითი გადასახადების დარიცხვას, თუ საგადასახადო უწყებები გაასაჩივრებს ამ პოზიციებს. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციებს, რომლებიც ამოქმედდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების საუკეთესო შეფასებას ეფუძნება. განუსაზღვრელი მოგების გადასახადის პოზიციების ცვლილება აღირიცხება მოგების გადასახადის ფარგლებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(ლ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო მოძრავ საფუძველზე და ის მოიცავს ნასყიდობის ღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი.

(ნ) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ. კომპანიის განცხადებული კაპიტალის ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე.

(ნ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად კომპანიას დღეისათვის აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება ფინანსურ ხარჯად.

(ო) ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს ტანსაცმლის საცალო გაყიდვებიდან, როდესაც ის პროდუქტზე კონტროლს კლიენტს გადასცემს. კომპანიამ ზოგადად დაასკვნა, რომ ის პრინციპალია შემოსავლების მომტან გარიგებებში, რადგან ის აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მათი კლიენტისთვის გადაცემამდე. კომპანიას არ აქვს მომხმარებელთა წახალისების პროგრამები და ასევე არ აქვს გაყიდული საქონლის მნიშვნელოვანი დაბრუნებები.

(პ) თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ანაზღაურება, წლიური ანაზღაურებადი შვებულება ან ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც კომპანიის თანამშრომელი გასწევს შესაბამის მომსახურებას.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

5. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(i) ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალებების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მსჯელობებზე. აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი უმეტესად სარგებლობის პროცესში გამოიყენება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორც არის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელი აფასებს დარჩენილ სასარგებლო გამოყენების ვადას, აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და იმ შეფასებული პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივებზე კომპანიისთვის სარგებლის მიღება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

(ii) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გარიგებებს აწარმოებს მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობები გამოიყენება იმის განსასაზღვრად, გარიგებების შეფასება ბაზარზე ხდება თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, როდესაც არ არსებობს ამგვარი გარიგებების აქტიური ბაზრები. მსჯელობის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასწარმოება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

6. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 16 - იჯარა

ამ სტანდარტს კომპანია იყენებს 2019 წლის 1 დეკემბერს დაწყებული ფინანსური წლიდან და ის ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს (იჯარა) და მის შესაბამის ინტერპრეტაციებს. ადრე არსებული სტანდარტის ფარგლებში, მოიჯარეები იჯარების კლასიფიკაციას ახდენდნენ როგორც ფინანსური იჯარა ან საოპერაციო იჯარა, რომლებიც განსხვავებულად აღირიცხებოდა. საოპერაციო იჯარებისთვის, მოიჯარის აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ახალი სტანდარტი მოიჯარეებისგან მოითხოვს აქტივებისა და ვალდებულებების ყველა იჯარასთან დაკავშირებულ საბალანსო უწყისში აღიარებას, 12 თვეზე ნაკლები ვადის მქონე იჯარების და/ან დაბალი ღირებულების მქონე აქტივებთან დაკავშირებული იჯარების გამოკლების შესაძლებლობით. საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულება აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულების სახით, რომელიც დისკონტირდება სესხის საპროცენტო განაკვეთით, ხოლო გამოყენების უფლების მქონე საბაზისო აქტივი საიჯარო ვადის განმავლობაში აღიარდება გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის სახით. აქტივს ცვეთა ერიცხება გამოყენების პერიოდზე, მოგებაში ან ზარალში აღიარებული ამორტიზაციით, საიჯარო ვალდებულებაზე პროცენტთან ერთად.

2019 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, კომპანია იჯარით იღებს სამ კომერციულ ფართს. კომპანიამ ჩაატარა მისი საიჯარო ხელშეკრულებების ანალიზი და დაასკვნა, რომ მისი ყველა იჯარა წარმოადგენს გაყიდვებზე დაფუძნებულ იჯარებს, ე.ი. ცვალებად საიჯარო გადასახდელებს და შესაბამისად ფასს (IFRS) 16-ის ფარგლებში არ აღიარდება გამოყენების უფლების მქონე აქტივები და საიჯარო ვალდებულებები.

7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) თანახმად, მხარეები ზოგადად დაკავშირებულად მოიაზრებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს ან ერთერთ მხარეს შესწევს მეორეზე კონტროლის განხორციელების უნარი, ან შეუძლია ისარგებლოს მნიშვნელოვანი გავლენით, ან ერთობლივი კონტროლით სხვა მხარეზე, ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორცაა არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორცაა დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

30 ნოემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მშობელი კომპანია		საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	
	2019	2018	2019	2018
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	2,359	3,612	278

30 ნოემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	მშობელი კომპანია		საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	
	2019	2018	2019	2018
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესყიდვა	16,359	10,314	3,401	–
მართვის მხარდაჭერის საფასური	6,970	7,151	–	1,368
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	153	23	–	–

8. ძირითადი საშუალებები

	საოფისე საიჯარო ქონების გაუმჯობესება		ადჭურვილობა და ინვენტარი		სხვა	სულ
თვითღირებულება						
2017 წლის 30 ნოემბერს	3,106	3,161	300			6,567
შესყიდვები	822	1,659	546			3,027
2018 წლის 30 ნოემბერს	3,928	4,820	846			9,594
შესყიდვები	1,236	1,835	498			3,569
2019 წლის 30 ნოემბერს	5,164	6,655	1,344			13,163
დაგროვილი ცვეთა						
2017 წლის 30 ნოემბერს	–	–	(2)			(2)
ცვეთა წლის განმავლობაში	(478)	(506)	(140)			(1,124)
2018 წლის 30 ნოემბერს	(478)	(506)	(142)			(1,126)
ცვეთა წლის განმავლობაში	(504)	(623)	(170)			(1,297)
2019 წლის 30 ნოემბერს	(982)	(1,129)	(312)			(2,423)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 30 ნოემბერს	3,450	4,314	704			8,468
2019 წლის 30 ნოემბერს	4,182	5,526	1,032			10,740

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2019	2018
გადასაყიდი საქონელი	3,448	3,210
საქონელი გზაში	–	414
	3,448	3,624

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	1,030	1,338
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	236	130
ფულადი სახსრები გზაში	–	48
	1,266	1,516

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში წარმოადგენს პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს საქართველოს ერთ ბანკში. 2019 წელს, საპროცენტო შემოსავალი იყო 244 ლარი (2018 წ.: 174 ლარი).

11. ნასესხები სახსრები

2018 წლის 15 თებერვალს ქართულმა კომერციულმა ბანკმა დაუმტკიცა საკრედიტო ხაზი მთლიან თანხაზე 10,000 ლარი, რომლის დაფარვის ვადა 2020 წლის 13 თებერვალი იყო. კომპანიამ გამოიყენა 8,000 ლარის ოდენობით თანხა და ნაწილობრივ დახარჯა ეს თანხა მშობელი კომპანიის სესხის დასაფარად. ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში იზღუდება სესხებში მოძრაობით და ისინი შემდეგი სახით გამოიყურება:

	1 დეკემბერი	ფულადი სახსრების შემოდინება	პროცენტის დარიცხვა	ფულადი სახსრების გადინება	30 ნოემბერი
2019	4,019	4,000	562	(581)	8,000
2018	828	4,000	273	(1,082)	4,019

2019 წელს, ფინანსური ხარჯები 715 ლარის (2018 წ.: 273 ლარი) ოდენობით მოიცავდა საპროცენტო ხარჯს 562 ლარის (2018 წ.: 273 ლარი) ოდენობით, რომელიც საკრედიტო ხაზთან იყო დაკავშირებული და სხვა ფინანსურ დანახარჯებს 153 ლარის (2018 წ.: ნული) ოდენობით.

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2019	2018
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	4,822	4,567
დარიცხული ვალდებულებები	478	437
სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში შესული მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	5,300	5,004
გასაცემი ხელფასები	212	187
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	76	82
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5,588	5,273

13. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი უკავშირდება კომპანიის მიერ საიჯარო ობიექტების მეიჯარეებისგან მიღებულ საიჯარო შეღავათებს. მასზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით შესაბამის საიჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ პერიოდზე და აღირიცხება საიჯარო დანახარჯის შემცირების სახით მოგებაში ან ზარალში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოძრაობა კომპანიის გადავადებულ შემოსავალში:

13. გადავადებული შემოსავალი (გაგრძელება)

2017 წლის 30 ნოემბერს	7,258
მეიჯარეთა შენატანები	1,025
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(1,860)
2018 წლის 30 ნოემბერს	6,423
მეიჯარეთა შენატანები	–
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(1,943)
2019 წლის 30 ნოემბერს	4,480

14. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2019	2018
ტანსაცმლის გაყიდვა	(36,099)	(30,927)
გაყიდული საქონლის დაბრუნებები	943	956
	(35,156)	(29,971)

15. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2019	2018
მასალის ღირებულება	17,786	12,921
ცვეთა	1,296	1,124
სხვა დანახარჯები	45	48
	19,127	14,093

16. დისტრიბუციის ხარჯები

	2019	2018
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	1,352	1,041
საბაჟო საბროკერო მომსახურების ღირებულება	110	119
სხვა	263	133
	1,725	1,293

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
მართვის და მხარდაჭერის საფასური	7,988	8,519
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	1,992	1,734
საიჯარო ხარჯი	675	355
სამივლინებო ხარჯები	607	697
ტრანსპორტირების ხარჯი	213	144
პროფესიული მომსახურება	186	234
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები	158	108
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	790	562
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	76	34
სხვა	1,195	800
	13,880	13,187

18. პირობითი ვალდებულებები*საგადასახადო კანონმდებლობა*

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საურავების დაკისრების უფლება.

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ გადასახედად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებაში, საგადასახადო წელი შესაძლოა ღია დარჩეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამ გარემოებებმა შეიძლება სხვა ქვეყნებზე ბევრად უფრო მეტი მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში.

ხელმძღვანელობა კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო პოზიციებს თითოეული ანგარიშსწორების პერიოდის ბოლოს გადააფასებს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ, სავარაუდოდ, ისინი არ გამოიწვევენ დამატებითი გადასახადების დარიცხვას, თუ საგადასახადო უწყებები გაასაჩივრებს ამ პოზიციებს.

შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციებს, რომლებიც ამოქმედდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება ხელმძღვანელობის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების საუკეთესო შეფასებას ეფუძნება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან

კომპანიას არ აქვს ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან, რადგან საიჯარო გადასახადები შესრულებულ სამუშაოზე დაფუძნებულ ცვლად გადახდებს წარმოადგენს.

19. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკს ექვემდებარება, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. საკრედიტო რისკი წარმოიშვება კომპანიის პროდუქტების საკრედიტო პირობებით გაყიდვის და კონტრაქტებთან სხვა გარიგებების შედეგად, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობენ.

კომპანია გასწევს საკრედიტო რისკს მხოლოდ ბანკში არსებული ნაღდი ფულის და სხვა დებიტორული დავალიანების ოდენობით. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მთლიანად ერთერთ უმსხვილეს ქართულ ბანკებშია განთავსებული. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სხვა დებიტორული დავალიანებები არც გაუფასურებული და არც ვადაგადაცილებულია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, არის სესხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, სხვა დებიტორული დავალიანება და ნაღდი ფული ბანკში.

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)*საბაზრო რისკი (გაგრძელება)*

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების რისკზე უმეტესად კომპანიის საოპერაციო საქმიანობებს (როდესაც შემოსავალი ან ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებს უკავშირდება, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია გამოხატული.

მგრძნობელობის ანალიზები მომზადდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტაში მუდმივია.

2019 წლის 30 ნოემბერს			
	<i>ფულადი ფინანსური აქტივები</i>	<i>ფულადი ფინანსური ვალდებულებები</i>	<i>წმინდა საბალანსო პოზიცია</i>
აშშ დოლარი	–	15	(15)
შვედური კრონა	–	16	(16)
ევრო	–	405	(405)
ლარი	1,387	13,151	(11,764)
სულ	1,387	13,587	(12,200)

2018 წლის 30 ნოემბერს			
	<i>ფულადი ფინანსური აქტივები</i>	<i>ფულადი ფინანსური ვალდებულებები</i>	<i>წმინდა საბალანსო პოზიცია</i>
აშშ დოლარი	–	306	(306)
ევრო	–	3,443	(3,443)
ლარი	1,516	5,274	(3,758)
სულ	1,516	9,023	(7,507)

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	30 ნოემბრით დასრულებული წლისთვის საშუალო გაცვლითი კურსი		სპოტ გაცვლითი კურსი 30 ნოემბრის მდგომარეობით	
	2019	2018	2019	2018
ლარი/აშშ დოლარი	2.7990	2.5298	2.9695	2.6896
ლარი/ევრო	3.1392	2.9960	3.2676	3.0543

შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში ლარის გამყარება/გაუფასურება 30 ნოემბერს მოგებას ან ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით გაზრდიდა/(შემცირებდა):

	2019		2018	
	ზრდა / (შემცირება), %	ზრდა / (შემცირება)	ზრდა / (შემცირება), %	ზრდა / (შემცირება)
ევროს გამყარება	+11%	(45)	+20%	(689)
ევროს გაუფასურება	-6%	24	-20%	689
აშშ დოლარის გამყარება	+10%	(2)	+20%	(61)
აშშ დოლარის გაუფასურება	-5%	1	-20%	61

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)*ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიის მიერ სამუშაო კაპიტალის მართვისა და იჯარის ღირებულების გადახდიდან. არსებობს რისკი, რომ კომპანიას შეეძლოს სირთულეები მათი ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილებაში. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. მე-3 შენიშვნაში უფრო დეტალურად არის აღწერილი ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი.

2019 წლისა და 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, კომპანიის ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს ჰქონდა ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, რომლებიც არ აღემატება 90 დღეს, ასევე მათ საბალანსო ღირებულებასთან მიახლოებული სამართლიანი ღირებულება.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს პარტნიორის შენატანს კომპანიის კაპიტალში და აკუმულირებულ ზარალს. კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

20. სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური განსჯის გამოყენების გამო, არ უნდა ჩაითვალოს, რომ სამართლიანი ღირებულება დაუყოვნებლივ რეალიზებადია აქტივების გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვისას.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება.

21. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის იანვარში კომპანიამ ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის დაფარვის ვადა 2021 წლის 15 თებერვლამდე გადაავადა.

2020 წლის მაისში, მშობელმა კომპანიამ კომპანიის საწესდებო კაპიტალი 10,000-ლარიანი ფულადი შენატანით გაზარდა, კომპანიის საოპერაციო საქმიანობების მხარდასაჭერად.

კოვიდ-19-ის გლობალური პანდემიის შედეგად, კომპანიამ ჩაკეტა ყველა მაღაზია 2020 წლის 20 მარტიდან. 2020 წლის 1 ივნისს, თბილისის ყველა მაღაზია ისევ გაიხსნა. ხელმძღვანელობა კვლავ ყურადღებით ადევნებს თვალს კოვიდ-19-თან დაკავშირებულ ვითარებას საქართველოში და შესაბამისად მართავს მარაგებს, ლიკვიდურობას და სხვა საქმიანობებს. კომპანია პანდემიას ანგარიშგების პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს. ამ მომენტისთვის რაოდენობრივი ეფექტის სათანადო დონეზე შეფასება შეუძლებელია იმ განუსაზღვრელობების გამო, რომლებიც კვლავ შეესაბამება საქართველოსა და საერთაშორისო მასშტაბით არსებული პანდემიური სიტუაციის შემდგომ განვითარებებს.



წლიური მმართველობითი ანგარიშგება 2019 წლის 30 ნოემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

წლიური მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 30 ნოემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

დირექტორი: კლაუდია ოსზვალდი

დირექტორი: ალექსანდრა ფილიპოვი

2020 წლის 31 აგვისტო



წლიური მმართველობითი ანგარიშგება 2019 წლის 30 ნოემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

სარჩევი

1.	ზოგადი ინფორმაცია.....	5
2.	2019 წლის ფინანსურ-ეკონომიკური ინდიკატორები:	5
3.	კომპანიის დასაქმების ასპექტები.....	6
4.	რისკების ანალიზი.....	6
5.	განვითარებასთან დაკავშირებული პროგნოზები	7

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“ (შემდგომში „H&M“ ან „კომპანია“), არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით 405164192. კომპანია საქართველოშია რეგისტრირებული და მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #41, მე-4 სართული.

2019, 2018 და 2017 წლების 30 ნოემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო ტანსაცმლის მრავალნაციონალური შვედური სავაჭრო ბრენდი „H&M Hennes & Mauritz CBC AB“, ხოლო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო სტეფან პერსონის ოჯახი.

კომპანია 2016 წლის 30 აგვისტოს დაფუძნდა თბილისში (საქართველო). დაფუძნებიდან 2017 წლის 27 აპრილამდე (კაპიტალში პირველი შენატანის განხორციელების თარიღი) კომპანია ოპერაციებს არ ახორციელებდა. „H&M“-ის პირველი მაღაზია საქართველოში 2017 წლის 18 ნოემბერს გაიხსნა სავაჭრო ცენტრში „გალერეა თბილისი“, მეორე - 2018 წლის 31 მაისს სავაჭრო ცენტრში „ისთ ფოინთი“ და მესამე - „სითი მოლში“ 2019 წლის 26 ოქტომბერს.

H&M-ის ბიზნეს იდეაა მოდისა და ხარისხის საუკეთესო ფასად შეთავაზება ეკოლოგიური გარემოს დაცვით. პროდუქტების ფართო და მრავალფეროვანი სპექტრით, „H&M“ მოდით დაინტერესებულ პირებს უმარტივეს საკუთარი პერსონალური სტილის გამოხატვას.

კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქტებზე აშკარად მოქმედებს მოდის ინდუსტრია, რომელიც ყოველწლიურად იცვლება. მომხმარებლები ეძებენ მოდის უახლეს ტრენდებს, ხოლო „H&M“ ამ საჭიროების დაკმაყოფილებას უწყობს ხელს. მოდა წლიდან წლამდე იცვლება და შესაბამისად კომპანიისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მომავალი მოდის ტრენდების განჭვრეტას, რათა კომპანიამ წინასწარ შესძლოს კოლექციების მომზადება და კონკურენციისთვის გაძლევა.

2. 2019 წლის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

№	აღწერა	ვალუტა	კომპანია			
			2018	2019	გადაზრდა	% გადაზრდა
A	B	1	2	3	4=3-2	5=4/2
1	სულ შემოსავალი	ათასი ლარი	30 288	35 426	5 139	17%
1.1	შემოსავალი გაყიდვებიდან	ათასი ლარი	29 971	35 156	5 185	17%
1.2	შემოსავალი ფინანსური საქმიანობიდან	ათასი ლარი	174	244	71	41%
1.3	სხვა შემოსავალი	ათასი ლარი	143	26	-117	-82%
2	სულ დანახარჯები	ათასი ლარი	-28 937	-35 433	-6 498	22%
2.1	გაყიდული საქონლის თვითღირებულება	ათასი ლარი	-14 093	-19 127	-5 034	36%
2.2	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	ათასი ლარი	-13 187	-13 880	-693	5%
2.3	ფინანსური ხარჯები	ათასი ლარი	-273	-715	-442	162%
2.4	დისტრიბუციის ხარჯი	ათასი ლარი	-1 293	-1 725	-432	33%
2.5	სხვა ხარჯები	ათასი ლარი	-91	14	103	-113%
3	მოგება (ზარალი) გადასახადით დაბეგრამდე	ათასი ლარი	1 351	-7	-1 358	-101%
4	მოგების გადასახადი	ათასი ლარი	-	-	-	-
5	წლის მთლიანი მოგება	ათასი ლარი	1 351	-7	-1 358	-101%
6	თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა	ათასი ლარი	92	107	15	16%

კომპანიამ 2019 წელი დახურა მთლიანი ზარალით 7 ათასი ლარი, რომელიც წინა წლის შედეგებზე 1,358 ათასი ლარით ნაკლებია. ამ ნეგატიური დინამიკის მთავარი მიზეზია მესამე მაღაზიის გახსნით გამოწვეული ხარჯების ზრდა და 2019 წლის ნოემბრის ბოლოსთვის გადავადებული გახსნა.

2.1 შემოსავალი ერთ მაღაზიაზე:

მაღაზია	ვალუტა	2018	2019	გადაზრდა	გადაზრდა %
სავაჭრო ცენტრი „გალერეა თბილისი“	ათასი ლარი	25 015	25 163	148	0,59%
სავაჭრო ცენტრი „ისტ ფონითი“	ათასი ლარი	4 956	7 876	2 920	58,92%
„სითი მოლი საბურთალო“	ათასი ლარი	-	2 128	2 128	100,00%
სულ შემოსავალი	ათასი ლარი	29 971	35 167	5 196	17,34%

საქმიანობის ზრდა მიმდინარე წლის განმავლობაში ასევე აისახა დანახარჯების ზრდაზე, რაც წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით 6,498 ათასი ლარით გაიზარდა.

3. კომპანიის დასაქმების ასპექტები

კომპანია მის თანამშრომლებთან დაკავშირებით სოციალური მიმართულებით არის განვითარებული. სოციალურ სფეროში კომპანია თავის თანამშრომლებს სხვადასხვა სახის ტრენინგებს უტარებს მომავალი განვითარებისთვის. ამასთან, „H&M“-ის თანამშრომლებზე ვრცელდება ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი. ისინი ასევე იღებენ დამატებითი ფასდაკლების ბარათებს შერჩეულ ერთეულებზე და კონკრეტული დროის განმავლობაში. ამ ბარათების გამოყენება შესაძლებელია „H&M“-ის ადგილობრივ მაღაზიებში.

4. რისკების ანალიზი

საფასო რისკი

საფასო რისკი არის ზარალის რისკი ან ფასის შემცირების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების კლების რისკი. კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საფასო რისკის წინაშე, რომელიც ფინანსურ ინსტრუმენტს უკავშირდება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კონტრაქტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკს, რომლის შედეგადაც კომპანია ფინანსურ ზარალს განიცდის. საკრედიტო რისკზე და კონტრაქტის საკრედიტო რეიტინგზე დამოკიდებულება მუდმივად კონტროლირდება.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას ვადადამდგარი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. კომპანიის მიზანია დაფინანსებაში მოქნილობის უზრუნველყოფა შესაბამისი საკრედიტო ხაზების ხელმისაწვდომობის გზით. კომპანია რეგულარულად ამზადებს ფულადი ნაკადების მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს ლიკვიდურობის დამაკმაყოფილებელი დონის უზრუნველსაყოფად.

სავალუტო რისკი

კომპანია არ გასწევს სავალუტო რისკს. სხვა ვალუტაში ვალდებულებების დაფარვის დანერგილი პრინციპის მიხედვით, ადგილობრივი კომპანია მინიმალურ დონეზე გასწევს ან საერთოდ არ გასწევს სავალუტო რისკს - ყველა სახის სავალუტო რისკს გასწევს მშობელი კომპანია.

სხვა რისკი

„H&M“-ის შედეგებსა და საქმიანობაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. მათი უმეტესობა შიდა საქმიანობას უკავშირდება, ხოლო სხვა კონკრეტულ შედეგებსა და საქმიანობებზე უმეტესად გარე ფაქტორები მოქმედებს. მოდასთან, ამინდთან, ნეგატიურ მაკრო-ეკონომიკურ ცვლილებებთან, მომხმარებელთა ქცევის ცვლილებებთან, კლიმატის ცვლილებასთან, სავაჭრო ღონისძიებებთან, მწარმოებელი ქვეყნების გარე ფაქტორებთან და უცხოურ ვალუტასთან, ასევე ახალი კონცეფციების დანერგვასთან და ბრენდის მართვასთან დაკავშირებული რიკები და გაურკვევლობები არსებობს.

ფორმალური რისკის ანალიზი და რისკების მართვა შესაძლოა დაგვეხმაროს ამ რისკების შეფასებაში და იმის განსაზღვრაში, თუ რა ქმედებები უნდა განხორციელდეს ამ გეგმების შეუსრულებლობის რისკის

შესამცირებლად. ამგვარი ქმედება ასევე გვეხმარება იმის განსაზღვრაში, რამდენად ეკონომიკურია რისკების მართვისთვის ჩვენს მიერ გამოსაყენებელი სტრატეგიები.

5. განვითარებასთან დაკავშირებული პროგნოზები

დღეის მდგომარეობით კომპანიას თბილისში (საქართველო) სამი მაღაზია აქვს და მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში ახალი მაღაზიის გახსნა არ იგეგმება.

კოვიდ-19-ის გლობალური პანდემიის გამო, 2020 წლის ფინანსური წელი გამოწვევებით იქნება სავსე დაგეგმილი შედეგების მიღწევის მიმართულებით. კომპანია ვალდებული იყო დაეხურა ყველა მაღაზია 2020 წლის 20 მარტის შემდეგ. 2020 წლის 1 ივნისს, თბილისის მაღაზიები ისევ გაიხსნა. განხორციელდება ბრუნვის შემცირებით გამოწვეული მარაგების მართვის, ლიკვიდურობის და ხარჯების გაუმჯობესების მექანიზმების კონტროლი. 2020 წლის მაისში, მშობელმა კომპანიამ კომპანიის საწესდებო კაპიტალში განახორციელა 10,000 ლარის ოდენობით ფულადი შენატანი, კომპანიის საოპერაციო საქმიანობების მხარდასაჭერად.